ციცაგიაანთკარში გზის რეაბილიტაცია დაიწყო

14 ივნისი 2018

გორის მუნიციპალიტეტის სოფლების, სათემო - ციცაგიაანთკარი - ახრისის დამაკავშირებელი 5 826 მეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის მიმდინარეობა შიდა ქართლის გუბერნატორმა, აკაკი მაჭუტაძემ და გორის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე თავზარაშვილმა მოინახულეს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება, რაზეც მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. აღნიშნულ სოფლებში გზების რეაბილიტაცია ათეული წლებია არ განხორციელებულა. პროექტი მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.